

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აცხადებს ვაკანსიას სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის პოზიციაზე.

სამუშაო დატვირთვა: სრული განაკვეთი.

სამუშაო დრო: კვირაში ხუთი დღე, 09:30-დან - 18:30-მდე.

თანამდებობრივი სარგო: 1200 (ათას ორასი) ლარი.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი

მოთხოვნები:

- 2D ან 3D პროგრამაში მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე დანადგარებთან მუშაობის გამოცდილება;
- ქართული ენის მაღალ დონეზე და ინგლისური ენის მინიმუმ საშუალო დონეზე ცოდნა;
- ჯგუფური მუშაობის უნარი;
- პუნქტუალურობა.

სასურველია: ელექტროინჟინერიის საწყისების ცოდნა და ამ მიმართულებით მარტივი პროექტების შექმნის გამოცდილება.

მოვალეობები:

- 2D და 3D ფაილების შესწორება, მომზადება;
- ფაბლაბში მოსული მომხმარებლებისთვის ტექნიკური კონსულტაციის გაწევა;
- სხვადასხვა ტიპის მაღალტექნოლოგიურ პროექტებზე მუშაობა;
- ლაბორატორიის აპარატურის ამუშავება და დანადგარებზე მომხმარებლების მომსახურება, რაც მიმართული იქნება ფაბლაბებში პროფესიული სტუდენტების ჩართულობისთვის;

- აპარატურის გაწმენდა-მოვლა;
- ლონისძიებებისა და სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- ლაბორატორიის დანადგარებისა და იდეის შესახებ პროფესიული სტუდენტებისთვის პრეზენტაციის ჩატარება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება ლაბორატორიის სასწავლო პროცესებში გამოსაყენებლად;
- ფაბლაბების ქსელთან კოორდინირებული მუშაობა.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: • ავტობიოგრაფია / CV;

- 2 ფოტო (3X4);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნოტარიულად დამოწმებული);
- კვალიფიკაციის/შესაბამისი პროფილით მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განაცხადების წარდგენის ვადა: **06.10.2021 – 15.10.2021.**

გასაუბრება: **19.10.2021**

დაინტერესებულ აპლიკანტებს, გთხოვთ, შეავსოთ რეზიუმე / CV პორტალ hr.gov.ge

საბუთების მიღება იწარმოებს კოლეჯის მისამართზე ან/და შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: profglданiedu@gmail.com

საკონტაქტო ტელეფონები- 577385722

საკონტაქტო პირი- მარინე წიკლაური

მისამართი ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44

2-140314, 2-140315